



საქართველოს
ტექნიკური
უნივერსიტეტი

ინფორმატიკისა და
მართვის სისტემების
ფაკულტეტი

მართვის ავტომატიზებული სისტემების (პროგრამული ინჟინერიის) დეპარტამენტი



ს პ ე ც ი ა ლ ი ბ ა :
მართვის ავტომატიზებული
სისტემები
(პროგრამული ინჟინერია)



დასაქმების ობიექტები

სახელმწიფო ორგანიზაციები და კერძო სტრუქტურები, რომელთა მენეჯმენტის პროცესებში ინტენსიურად გამოიყენება თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები:

ასეთებია სახელისუფლებო, სამთავრობო და არასამთავრობო, ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ორგანიზაციები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოები, საფინანსო ბანკები, ჯანმრთელობის ობიექტები და სადაზღვევო კომპანიები, სოციალური დაცვის, სამოქალაქო და საჯარო რეესტრების სააგენტოები, უნივერსიტეტები, ბიბლიოთეკები და მუზეუმები, საბაჟო, საგადასახადო ინსპექციები, ტურისტული, სარეკლამო და სავაჭრო ფირმები, ოფისები და სხვა.




დეპარტამენტის კომპიუტერულ კლასებში განთავსებულია 80-მდე პერსონალური კომპიუტერი, ჩართული ინტერნეტის ქსელში

- ◆ გამოიცემა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “მართვის ავტომატიზებული სისტემები”
- ◆ გამოცემულია მრავალი წიგნი და ელ-სახელმძღვანელო

სასწავლო პროცესი:

- ◆ ბაკალავრიატი (4 წელი)
- ◆ მაგისტრატურა:
 - მართვის საინფორმაციო სისტემები (2 წელი)
 - ინფორმაციის დაცვის მართვის სისტემები (2 წელი)
- ◆ დოქტორანტურა (3 წელი)

თბილისი 0175, კოსტავას ქ. 77
სტუ, VI სასწავლო კორპუსი
მართვის ავტომატიზებული სისტემების
(პროგრამული ინჟინერიის)
დეპარტამენტი
ოთახი 225-დ. ტელ.: 236 5441



**რატომ
მართვის ავტომატიზებული
სისტემები
(პროგრამულ ინჟინერია) ?!**

**სპეციალობის საბაკალავრო
სწავლების მიზანი**

მართვის ავტომატიზებული სისტემების (პროგრამული ინჟინერიის) მიმართულებაზე (Management Information Systems - Software Engineering) მოთხოვნილება დღეისათვის ძალზე დიდია, მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში - სამთავრობო ორგანიზაციები, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, განათლება, სამხედრო საქმე, სახელმწიფო დაწესებულებები, სამოქალაქო და საჯარო რეესტრები, საბაჟო, საგადასახადო ინსპექცია, საწარმოები, კომპანიები, ბანკები, კერძო ფირმები, ოფისები და ა.შ.

ამ სფეროების ეფექტიანი ფუნქციონირება წარმოდგენილია ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციის გარეშე. სწორედ ამ ფუნქციების კომპიუტერიზაციას (ანალიზი, მოდელირება, ალგორითმიზაცია, დაპროექტება, დაპროგრამება, ტესტირება, დანერგვა, ექსპლოატაცია და ინტეგრაცია-რეინჟინერინგი) უზრუნველყოფს მართვის ავტომატიზებული სისტემები (პროგრამული ინჟინერია).



სტუდენტთათვის სისტემური წარმოდგენის ფორმირება მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტების, მონაცემთა ბაზებისა და პროგრამული უზრუნველყოფის კონსტრუირების შესახებ, უნარ-ჩვევების გამომუშავება სხვადასხვა დანიშნულების მონაცემთა დამუშავებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების კვლევის, დაპროგრამების და ექსპლოატაციის სფეროში მოღვაწეობისათვის.

სწავლის შედეგად სტუდენტს ეცოდინება: პროგრამირება (C++/C#, WPF/XAML, Visual Basic Application); კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება (ოპერაციული სისტემა - Windows/Linux, საოფისე სისტემები - Ms Word, Excel, PowerPoint, Outlook, MsAccess, MsVisio და სხვ.); დაპროგრამების მეთოდები (სტრუქტურული, ობიექტზე ორიენტირებული, ვიზუალური); ავტომატიზებული მართვის (სტატისტიკური, ლოგიკური, გრაფული, საოპტიმიზაციო, იმიტაციური) მოდელის აგება; მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მათი მართვის სისტემების გამოყენება (MsAccess, Ms_SQL_Server, MySQL, Oracle); ორგანიზაციული მართვის სისტემების ფუნქციონალური ქვესისტემების აგების პრინციპები (ERP, BPMN for Windows, Bizagi); მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების დაპროექტება UML/Agile ტექნოლოგიებით (Rational_Rose, Enterprise Architect და სხვა CASE ინსტრუმენტები); განაწილებული ავტომატიზებული სისტემების დაპროექტება და აგება ინფორმა-

ციული უსაფრთხოების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებით (ITIL, BSI), გლობალური, ღრუბლოვანი (Cloud) და ლოკალური კლიენტ-სერვერ ქსელური არქიტექტურებით; ინტერნეტული საინფორმაციო სისტემების დაპროგრამება (ინტერნეტ-ბიზნესი, Web-ტექნოლოგიები, სერვერული ტექნოლოგიები, HTML, PHP, XML, ASP.NET, DreamWeaver); ჰიბრიდული პროგრამული სისტემების (Windows+Web) დაპროგრამება ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიებით: WPF (Windows Presentation Foundation), WF (Workflow Foundation) და WCF (Windows Communication Foundation).

**სასწავლო პროცესის სრული
კურსის გავლის შედეგად
სტუდენტს მიენიჭება
კვალიფიკაცია
ინჟინერ-ინფორმატიკოსი**

